ხელშეკრულება №344/16-4
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ზუგდიდი ,,-24-,,-12-„ 2016 წ.

1. შპს „ენგურჰესი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი - დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად და

ი/მ „სოსო აბშილავა“, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, შპს ,,ენგურჰესის" მიერ 2016 წელს განსახორციელებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვების ბიზნეს-გეგმის (CVP-39715220) თანახმად წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. "შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

2.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ,,შემსყიდველი" ავალებს, ხოლო ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში – ელექტრო გამათბობელი - 2 ცალი.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ერთი ცალი ელექტრო გამათბობლის ღირებულებაა: 65 (სამოცდახუთი) ლარი, შესაბამისად სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 130 (ასოცდაათ) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს: შპს „ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის საქონელმცოდნე-ექსპედიტორი - ნ. ჯანჯარია.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით. მიღება-ჩაბარების აქტს ადგენს მუდმივმოქმედი კომისია, საქონლის საბოლოო მიღების ადგილზე, შპს "ენგურჰესი"-ს სასაწყობე მეურნეობაში.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების პირობების შესრულება

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს მეორე კი შემსყიდველს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "ენგურჰესი"	**ი/მ ,,სოსო აბშილავა"**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.	იურიდიული მის. ქ. ზუგდიდი,
ა. პოლიტკოვსკაიას №8	სოფ. აბასთუმანი
სს ,,პროკრედიტ ბანკის'' ქუთაისის ფილიალის	სს „პროკრედიტ ბანკი"
ზუგდიდის განყოფილება	
ბ/კ 220101929 ს/კ 251716371	ს/კ 19001047565
ა/ა GE59PC0173600100015015	ა/ა GE89PC0173600100024563
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	ინდივიდუალური მეწარმე
_____ ლ. მებონია	_____ ს. აბშილავა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

,,-24-,, ---12--“ 2016 წ.

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, №344/16-4 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, ი/მ "სოსო აბშილავა"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა
საბჭოს თავმჯდომარე ლ. მებონია

შპს "ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და
მომარაგების სამსაურის საქონელმცოდნე-
ექსპედიტორი ნ. ჯანჯარია